თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება № 2613697

გაცემის თარიღი: 24/05/2016 გაცნობის თარიღი: 25/05/2016

განცხადების ნომერი: AR1406900

შემოსვლის თარიღი: 23/05/2016

შედეგი: **თანხმობა**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.13.01.022.186
- მისამართი: ქალაქი თბილისი , საქართველოს სამხედრო გზაზე, ახმეტელის ქუჩის მიმდებარედ
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 251.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს "ბ.ბ.ი." (202052278)

ნომენკლატურა :

- **I კლასი**
- **აბრებისა და რეკლამების განთავსება კორექტირება**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- გიორგი ჩაფიძე პ/ნ 18001022223
- მისამართი: ზესტაფონი,მეგობრობის5. ბინა 11

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე არსებული ავტოგასამართი სადგურის სახურავზე სარეკლამო მონტორის განთავსების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განცხადება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – დიდუბე, ქალაქი თბილისი, საქართველოს სამხედრო გზაზე, ახმეტელის ქუჩის მიმდებარედ, შპს "ბ.ბ.ი"–ს საკუთრებაში არსებული ავტოგასამართი სადგურის სახურავზე კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე სარეკლამო აბრის მოწყობას. პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები _ თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომლის მონტაჟი არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური''.

''მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტიდან N 882016004428 08/01/2016 წ. საკადასტრო კოდი N 01.13.01.022.185, ასევე წარმოდგენილი საპროექტო ფოტომონტაჟი; შპს ბ.ბ.ი.; შპს ,,ლაქი 2'' და შპს ,,ბო პი''ს თანხმობები; ხელშეკრულება) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – ვაკე, აბაშიძის ქუჩა #41–ში (ყოფ. ბარნოვის ქ. #137), შენობის ფასადზე, შ.პ.ს ,,პსპ–აფთიაქი''–ს მიერ კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე სარეკლამო აბრის მოწყობის შესაძლებლობას.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.